ბრძანება

ქ. თბილისი

N 1208-03
14/08/2025

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2025 წლის 7 მარტის N448-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს N2464-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის N7 სხდომის გადაწყვეტილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 29 ივლისის N13008-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2025 წლის 7 მარტის N448-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით;

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტის დანართით განსაზღვრული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი